საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 258-03
20/02/2024

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმის ჩართვისა და დახურვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის და მე–20 მუხლის 1–ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის 2024 წლის 20 თებერვლის N2798-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი ჩაირთოს შემდეგი განრიგით:
   ა) 29 თებერვალი 12 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და სამართლის სკოლის I კურსის სტუდენტებისათვის;

   ბ) 29 თებერვალი 15 საათი - სამართლის სკოლის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

   გ) 29 თებერვალი 17 საათი - ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის, სადოქტორო საფეხურის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის;

   დ) 1 მარტი 12 საათი - მეცნიერებათა და ხელოვნების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის სტუდენტებისათვის;

   ე) 1 მარტი 15 საათი - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მე-2, მე-3, მე-4 და დამატებითი წლის (საბაკალავრო და საბაკალავრო-სამაგისტრო) სტუდენტებისათვის;

   ვ) 1 მარტი 17 საათი - სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის;

2. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“-ს არჩევის რეჟიმი დაიხუროს 2024 წლის 16 მარტს 18:00 საათზე;
3. სტუდენტებს, რომლებსაც უნივერსიტეტის მიმართ ექნებათ ფინანსური დავალიანება შეეზღუდებათ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსზე“ წვდომა;
4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის სტუდენტებს უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხდევით შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი კერძოდ:
   ა) სტუდენტებს, რომელთაც 2024 წლის 16 მარტის მდგომარეობით ერიცხებათ ფინანსური დავალიანება;

ბ) სტუდენტებს, რომლებიც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში არ დარეგისტრირდებიან კურსებზე/კომპონენტებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“;

გ) სტუდენტებს, რომელთა ჩარიცხვიდან გასულია შესაბამისი აკადემიური საფეხურის დასრულების ოფიციალური ვადა, არ აქვთ სრულად დაძლეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნები და უნივერსიტეტში მოქმედი წესით არ მიუმართავთ სწავლის გაგრძელების თხოვნით;

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს/სკოლას, რექტორის აპარატს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს, საერთაშორისო სტუდენტებისა და პროგრამების მარკეტინგის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციის სამდივნოს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE